წელიწადი მეცხრე.—№ 437

პარასკევი, 23 აგვისტო, 1874

**გაზეთის ფასი**

გაზეთი: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЕБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЕБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში. — კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## განცხადება

მთავრობის ნებით პირველს მომავალს სეკტემბერს გაიხსნება ქალაქ ტფილისში საზოგადო შეკრებილება ტფილისის თავად-აზნაურთ ბანკის საქმეზედ, აღმოსარჩევლად პირთა სხვა და სხვა თანამდებობაში.

ვაცნობებ ამაზედ ტფილისის გუბერნიის თავადთ და აზნაურთ, ამასაც დაუმატებ, რომ საზოგადო შეკრებილებაში ექნებათ მონაწილეობა მხოლოდ იმათ, რომელთაც შემოუტანიათ ანუ შემოიტანენ თავიანთ მხვედრს ფულსა ბანკის სასარგებლოდ.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობის აღმასრულებელი კნ. დ. სუმბათოვი.

---

**კომიტეტი**, დანიშნული ახალი საქალაქო წესდების შემოსაღებად ტფილისში, უფ. ტფილისის გუბერნატორის ნება-დართვით, აცხადებს საყოველთაოდ საცნობად, რომ აღრჩევითი სიები უკვე შედგენილნი არიან და ამის გამო თითოეულს პირს, რომელსაც კი მომავალს აღრჩევებში ხმა აქვს, შეუძლიან, საქალაქო წესდების §§ 26 და 27-ის და უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევისაგან 1870 წ. ივნისის 16-ს დადგენილის აზრის 2 პუნქტის თანახმად, ორის კვირის განმავალობაში, 22 აგვისტოდგან დაწყებული 4 სეკტემბრამდის თან შერიცხვით, გამოცხადდეს საზოგადო საქალაქო კრების ზალაში, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდის, და განიხილოს, კომიტეტისაგან განგებ დანიშნულის პირის შემწეობით, ყველა სიები და მერმე, თუ ვინიცობაა, საჭიროდ დაინახავს, იმავე ვადის გასვლამდის უნდა შეიტანოს ტფილისის ქალაქის თავის სახელზედ აზრი სიების უკანონოდ შედგენაზედ და იმათ ნაკლებობაზედ; ამასთანავე კომიტეტი ნამეტნავად არ ითვლის დასძინოს, რომ სიებში მხოლოდ ის პირები არიან შერიცხულნი, რომელნიც სრულიად აკმაყოფილებენ საქალაქო წეს-დების § 17-ის მოთხოვნილებას; რომ ისინი, ვისაც დარჩენილი გარდასახადები არ შემოუტანია ამ წლის 25 ივნისამდის, სიებში შერიცხულნი არ არიან; რომ თითოეულმა აღმრჩეველმა, ანუ ხმის მქონებელმა, რომელსაც სურს, რომ აღრჩევითს სიებზედ დაუყონებლივ ყოველივე ცნობები მიიღოს, უნდა შეიტანოს კომიტეტში ნამდვილი ცნობები, თუ რამდენს ხარჯს იხდის ის საქალაქო ხაზინისათვის, და რომ, ბოლოს, იმ პირებზედ, ვინც კომიტეტმა დანიშნა აღმრჩეველების მისაღებად, რომელთაც აღრჩევითი სიების განხილვა სურსთ, გამოკიდებული იქნება ცალკე განცხადება საქალაქო კრების ზალის კარებთან.

კომიტეტში თავს-მჯდომარეობის აღმასრულებელი.

ვასილი სურგუნოვი.

## შინაარსი:

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებისადმი—ტფილისის მოქალაქეებისადმი—საქართველო: ქუთაისის ბანკი—წვრილი ამბები—„დროების“ კორრესპონდენცია: ქვაბთა-ხევიდგან—ფოთიდგან—ახალი-სენაკიდგან—რუსეთი: წვრილი ამბები—უცხო ქვეყნები საფრანგეთი—ნარევი—რაჭიდგან, ჩხრეკია რაჭველისა—საყმაწვილო ბალი.

# საქართველო

## ქუთაისის ბანკი.

წარმოდგენილი უმაღლესს სამმართველოში ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდება დარჩება შეუცვლელად, თუ გადასწორდება, ყოველ შემთხვევაში საჭიროა კაცების ყოლა, რომელთაც შეეძლოსთ ბანკის ხეირიანათ დადგენა და წაყვანაც. ამისთანა ბანკის საქმის მცოდნე პირნი, ჯერ ვგონებთ, არა გვყავს და თუ არც ბანკის დაარსების დროს გამოგვიჩნდა, მაშინ იძულებული ვიქნებით, შევეხვეწოთ ვინმე გარეშე კაცებს, რომ იმათ მიიღონ ბანკის გამგეობა და მართველობაც. ეს, ბეჯითად შეიძლება ვსთქვათ, დიდ-ძალ ფულათაც დაგვიჯდება და არც იმედია, რომ უცხო კაცმა ისე გულ-დადებით მოჰკიდოს ხელი ჩვენს საქმეს, როგორც ჩვენის მიწის შვილმა,

მაშასადამე საჭიროა, რომ იმ დროისთვის ჩვენ გვეყოლოს მომზადებული, გავარჯიშებული ბანკის მმართველიც და დირექტორებიც. და თუ ამაზედ წინეთ არ მოვიფიქრეთ და არ გადავწყვიტეთ, ვის მივანდოთ იმერეთის სათავად-აზნაურო ბანკის ბედი წინა წლეებში მაინც, მერმე ერთობ გვიან იქნება ყოველი დრტვინვა და გოდება. ამას გარდა საჭიროა, რომ ბანკის დასაჩქარებლათ თავად-აზნაურებას ეყოლოს პეტერბურღში კაცი, რომელმანაც იზრუნოს ბანკის წესდების მალე დამტკიცებისათვის. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის დაუყოვნებლივ საჭიროა ბანკის მმართველის აღრჩევა, რომელსაც შეეძლოს წასვლა პეტერბურღში ბანკის საქმის შესასწავლად, და აგრეთვე წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად. ამასთანავე უნდა აღირჩიოს დირექტორები და მუდმივი კომიტეტი, რომელსაც საზოგადოებამ უნდა მიანდოს ყველაფერი, რაც ბანკის წარსამატებლათ საჭირო იქნება. ყველა ამეების გარდასაწყვეტათ რასაკვირველია მიუცილებელია თავად-აზნაურების საგანგებო კრების მოხდენა, და ჩვენ არ ვფიქრობთ რომ ამ საქმის დაყოვნება სასარგებლო იქნეს თავად-აზნაურების ინტერესისათვის.

მაგრამ მოსამსახურე კაცების აღრჩევაზედ ერთი უზედურება და ბრძოლა ატყდება უთუოდ იმერეთში. და ბრძოლა იმიტომ კი არ იქნება, რომ ერთი მეტად სასარგებლო კაცი გამოვიდა ვითომ და მეორე ნაკლები. ჩვენ გვგონია, რომ პირად დამოკიდებულებას, სიძულილს და სიყვარულს იმერლები ერთობ დიდ მნიშვნელობას აძლევენ ყოველ საზოგადო საქმეში, თორემ ბრძოლა რომ კაცის ნამდვილ ცოდნაზედ და ღირსებაზედ იქნეს, ეს რასაკვირველია მოსაწონი იქნებოდა ყოველი კაცისგან. მაგრამ ჩვენ ერთობ დაშინებული ვართ წინანდელი მაგალითებით და იმისთვის ვაცხადებთ რომელიმე ეჭვს.

მაგრამ ესეც არის, ეხლანდელს საზოგადო კრებას უფრო სხვა მნიშვნელობა ექნება. ამ კრებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველა თავად-აზნაურებმა, რომელთაც შეუტანიათ ფული ბანკის დასაარსებელი თავნის შესადგენად. და, მეორე, თითეული შეცდომა, ჯიუტობა, მიდგომა, უანგარიშო მოქმედება დაეტყობა მათ ჯიბეებს და ამისთვის საგულისხმოა, რომ თავად-აზნაურება აღირჩევს გამგებელათა და დირექტორებათ ისეთ პირებს, რომელთაც ნამდვილათ შეეძლებათ სარგებლობა აჩვენონ საზოგადოებას თავის ცოდნითა და ნიჭით. პარტიობა კარგი რამ არის, მაგრამ როდესაც საქმე შეეხება ეკონომიურ მხარეს, როდესაც მარტო ცოდნა, მუყაითობა და კეთილშობილება არის საჭირო, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეს იმათ, ვინც საკმაოთ დაჯილდოებულია ამ თვისებებით.

დღეს ჩვენი საქმე იმაშია, რომ თავად აზნაურობამ საგანგებო კრება მოახდინოს ბანკში მოსამსახურე კაცების და ზედამხედველი კომიტეტის აღსარჩევად. თავის დროზედ ჩვენ უთუოდ ბეჯითად მოვილაპარაკებთ ამ საგნებზედ.

იქნება ჩვენ მოვნახოთ ისეთი კანდიდატები, რომელთ აღრჩევაზედ საზოგადოებაც დათანხმდეს და საქმისათვისაც სასარგებლო იქნენ... მაგრამ ჯერ ამაზედ ლაპარაკი ადრეა.

W.

## წვრილი ამბები

— ახალციხის საქალებო შკოლას აი რამდენი საშუალება ჰქონია: ამ წლის იანვრისათვის დარჩენილი ყოფილა 1,374 მან. და 32 კაპ.; შემდეგ შემოსულა 190 მანეთი წევრთაგან შემოტანილი; წარმოდგენისაგან აუღიათ შკოლის სასარგებლოთ 138 მან. და 31 კაპ. და ალლეგრით 574 მან. და 72 კაპ. სულ შეკრებილა 2,271 მან. და 35 კაპ; ამ ფულიდგან ზოგი დახარჯულა და სხვას საშკოლო სახლის ასაშენებლად ინახვენო. ამას გარდა მრავალი მოქალაქე შკოლას შემწეობას ჰპირდება და შემდეგისათვის შკოლის სასარგებლოდ ახალის ხარჯის დაწესებასაც აპირებენო.

— ქუთაისში ერთს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, პოპოვს, ყელი გამოუჭრია დანით. კავკაზის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ საქმის გამოკვლევა გამომძიებელისათვის მიუნდვიათო.

— ადგილობრივის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით უფ. ტფილისის გუბერნატორი მოითხოვს ყველა უეზდის უფროსებისაგან, რომ იმათ წარადგინონ პირველს სეკტემბრამდის გუბერნიის სამმართველოში ტაქცია, თუ რამდენი უნდა გადახდესთ საბალახოებისა და ყანების წახდენისათვის. წამხდენელის პირუტყვის პატრონებს.

— გაზაფხულის სეტყვას ისე გაუფუჭებია დიღომი, ზემო და ქვემო ავჭალა და აგრეთვე დიდ-უბის კოლონია, რომ ამ ჟამად არც ვენახებშია თურმე რამე და არც საყანე ადგილებში.

— ივლისის 28 გურიაში მიწის ძვრა ყოფილა. გურიაში ისე იშვიათია ეს ბუნების მოვლენა, რომ ეხლანდელს მიწის ძვრას ძალიან შეუშინებია უბრალო ხალხი. ის ამბობს თურმე: პარასკევს დღეს რომ არ ვუქმობთ, ეს მიწის ძვრა იმისი ბრალიაო.

— დაიბეჭდა და მალე გასასყიდლათაც გამოვა ბარბარე ჟორჯაძისაგან შედგენილი წიგნი: „ქართული სამზარეულო“.

— „ტფილისის მოამბის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია კორრესპონდენცია პეტერბურღიდამ, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორ ექცევიან ჩვენი მამები თავიანთს შვილებს, რომელნიც რუსეთში მიდიან უმაღლესის სწავლის მისაღებათ. იწერებიან, რომ ჩვენი მამები, ხშირათ შეძლებულები, გვატყუილებენ, გვეუბნებიან, რომ წადით, ისწავლეთ და ჩვენ რაც შეგვიძლიან ღონის ძიებას არ დაგაკლებთო, უპუროთ არ დაგრჩებითო. ყმაწვილები მიდიან დაიმედოვნებულნი, მაგრამ მამები ერთს გროშსაც არ უგზავნიან შვილებს, რომელნიც შიმშილის გამო სწავლის მაგიერ ავათ ხდებიან და ვინ იცის ვინ სად კვდებიანო. ამნაირი ჩივილი მოსწავლე ყმაწვილების მხრით პირველი არ არის. ბევრისაგან ბევრი მაგალითებია, რომ ის მამები, რომელთაც ათასობით შემოსავალი აქვთ, თვითონ ქალაქში და სხვა და სხვა ფუჭი საჭიროებისათვის ფლანგავენ თავის ყოფა-ცხოვრებას და შვილები კი ულონისძიებოთ უსწავლელნი რჩებიან. სხვა ქვეყნებში ამნაირი მოქმედებისთვის მამები კარგა დაისჯებოდენ, საზოგადოება დიდს შეურაცყოფას მიაყენებდა ამ ხაზოგადოებისთვის მავნე პირებს; მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენში ამგვარ შემთხვევებს ისრე გულ-გრილათ შეჰყურებენ, თითქოს ამნაირი საქციელი მამებისა სრულიად საძრახი არ იყოს.

— თბილისის ოლქიდგან ვისაც კერძო ადვოკატთაგანს საქმის აღება სურს, უთუოდ სამსაჯულოსაგან მიცემული მოწმობა უნდა ჰქონდეს; უამისოთ არც ერთი მისდამი საქმის მინდობილება კანონიერათ არ ჩაითვლება. მაგრამ ვინც ადვოკატობაში გართულმა იმ თვის ოცამდის საქმეები აიღო და ნამდვილი მინდობილება აქვს, იმათ კიდევ შეუძლიანთ, რომ ეს საქმეები მოათავონ მომავალის წლის ექვს იანვრამდის; ახალს საქმეებს კი უმოწმობოთ ველარ იკისრებენ.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ნოტარიუსის კანტორაში თბილისის თვეში უფრო ბევრი მინდობილება დამტკიცებულა, ვინემ მთელი წლის განმავალობაში. ცხადია, რომ მოწმობის მიღებაზედ უიმედო ადვოკატებმა ამ ერთის წლის საყოფი საქმეები კიდევ ჩაიგდეს ხელში.

---

## «დროების» კორრესპონდენცია

ქვაბთახევი, 15 აგვისტოს.

ამ დღეებში აქაურის მონასტრის დღესასწაულობას დავესწარი. ჩემდა საუბედუროთ, მე ვერ ვნახე თავის დროზე ხალხის შეკრებილება; აქ თურმე წინ ღამით სცოდნიათ რაც ქეიფი და მხიარულებაა, თორემ მეორე დღეს, ე. ი. უქმობის დღეს თავად-აზნაურებისა და მთვრალი გლეხების მეტი არავინ რჩება,-როგორც წირვა თავდება ყველანი შინ მიისწრაფიან. მე სწორეთ იმ დროს მიველი, როცა წირვა გამოსულიყო და ხალხი ემგზავრებოდა სახლისკენ. რასაკვირველია, ბევრი არა მინახავს რა, მაგრამ გავიგე კი, რა ჩვეულებაც ყოფილა, ან როგორ დღესასწაულობენ. ეს ხალხი თურმე თავს იმიტომ იყრის, რომ სჭამონ, დათვრენ და ოდკით გაბერილსავით ბარბაცით ისევ შინისკენ გაბრუნდენ. ერთი საზოგადო თამაში: ან ბურთაობა, ან ჯირითი, ან საერთო სადილი ამათ ფიქრშიაც არ მოდისთ. შეიკრიფებიან ოჯახობით, ორი, სამი მოსახლე, ან ხშირათ ერთი ოჯახი, თუ ბევრი სულია, დასხდებიან თავიანთ ურმებთან და გააჭიანურებენ თავისთვის სიმღერას. ყველა თავისთვის ქეიფობს, ყველა თავის თავს იქცევს, სხვისი დარდი კი ამათ არ აქვთ. ერთი ჭიდაობა სცოდნიათ, რომელიც ხშირად მოიწვევს მაყურებლებს სხვა და სხვა წრეებიდან, მაგრამ ამ ჭიდაობასაც არ ჰქონია ის საზოგადო ხასიათი, როგორც იმერეთში, ვთქვათ, ბურთაობას. სიმღერები კი ბევრათ შესამჩნევია: აქ ულექსოთ არას ოდეს არ მღერიან, და ლექსები ძველი დროის ისტორიულ ცხოვრების არიან, ან ძველი ცრუ მორწმუნებისა, ან ღვთის ლოცვა, გმირების შესხმა, ქება, და სხვანი.. სიმღერებში მოლექსენი ხშირათ ერთი მეორეს ეჯიბრებიან და დამარცხება, რასაკვირველია, ძრიელ სასირცხოთ მიაჩნიათ. ამბობენ, რომ მოლექსეების შეჯიბრება ვინმე მებატონისას უფრო საინტერესოაო, იმიტომ რომ იქ მრთელი სოფლიდგან გამორჩეული იკრიფებიანო, რასაც მე ერთჯერ დავესწარი, და ძალიან გამაკვირვა, რომ უფრო კარგ მოლექსეს „იმერელს“ ეძახოდენ; მე მინდოდა შემეტყო, რა მიზეზის გამო უძახოდენ იმას „იმერელს“, როცა ის ქართლელი იყო, მაგრამ საუბედუროთ ვერას გზით ვერ გავიგე.

სიმღერები ბევრი ისევ ის არის, რასაც იმერეთში მღერიან, გარდა „მეტივურისა“, „სამაყროსა.“ საზოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ ყველა ამ სიმღერებში წმინდა ქართველის ხასიათი, გემოვნება და სიცოცხლე გამოიხატება, ყველგან ჩვენი მახვილობა და გამჭრიახობა, ყველგან ჩვენი დარდები და ფიქრები სჩანს. რა განსხვავებაა სპარსულ ყიყინთან, რომლითაც ქალაქის ქუჩები გაყრუებულია!

იმერეთში ეს სიმღერები, რასაც აქ მღერიან, ცოტათი შეცვლილია, იქ უფრო ჩქარათ მღერიან და აქ კი ნელათ. აქ ისევ იმ „ცანგალას“, „ოდელიას“ „ვალალ-ვალალეს“ გაიგონებთ, ერთი სიმღერა კი ძრიელ ჩამოგავს გურულს „ნადურს“.

აი, ამგვარი იყო აქაური დღესასწაულობა: თითქმის ყოველმა მოსახლემ თითო ცხვარი დაკლა, რასაკვირველია, სამი ნაწილი მღვდლებს ეკუთვნოდა, ბევრი ღვინო დალიეს, ბევრი იმღერეს და გაუდგენ თავიანთ ქოხებისკენ.

როცა კი თითქმის ყველა წავიდენ, ცოტა რიცხვი თურმე სამთვრალოთ დარჩენილიყვნენ, დასხდენ დუქანში და ერთი ლიტრა მეორეზედ დააყოლეს, იყვირეს, იბღავლეს იმდენი, რომ ბოლოს აღარც ხმა ჰქონდათ აღარც ძალა, რომ თავი შეეკავათ. აი ამ მდგომარეობაში აქაური გლეხი ერთობ ცუდს სურათს წარმოადგენს, ერთობ უშნოა ეს ახმახი, მრთელი, დიდი, მოსრული გლეხი. ერთობ საზიზღარია შეზარხოშებული ქალებიც.

ამნაირი დასკვნა ერთობ არ მეჭაშნიკა: სწორეთ დიდი მსგავსება ვნახე მე უცხო ქვეყნისა და ჩვენებურ გლეხებს შუა. თურმე ნუ იტყვი, ღვინოსაც ამნაირი გავლენა ჰქონია, როგორც იქ ოდკას. აი, ამას კი ვერ ნახავთ იმერეთში; ასრე უცნაურს, ამნაირათ უზდელს იმერეთის სოფლებში კი ერთს გლეხსაც ვერ შეხვდებით.

აზნაურებზედ რა ითქმის, ეს წოდება იმნაირი ზნისაა, რომ არც ქართველია, არც უცხო, ძველიც დავიწყებიათ და ახლისა არაფერი წაკარებიათ, კარგს, პატიოსანს და დიდებულს აშორებიან და ბევრს უხეირობაში კი არიან ჩავარდნილნი.

რაც უნდა იყოს, ქართლელებს და იმერლებს შუა დიდი განსხვავება არ არის, არც ლაპარაკში, არც ქცევაში, არც ცხოვრებაში. მართალია, ერთი უფრო მძიმეა, უფრო დამჯდარი გონებისა და ხასიათის კაცსა ჰგავს, მეორე კი უფრო მჩატე, მკვირცხლი გონებისა არის, უფრო ცოცხალია. მაგრამ ამნაირივე განსხვავება როდი უშლის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფრანცუზებს, რომ ერთობა, ძმობა და ამხანაგობა იქონიონ, ერთი დედის შვილებს არც სიშორე უშლისთ, რომ გაჭირვების დროს ერთმანერთისთვის თავი დასდვან. იტალიაში ჩვენ მაგალითებიც ვიცით, რომ ორი თვის სავალის მანძილსაც არ გაუჩერებია იტალიელები, თავის მოძმეების საშველათ წასულიყვნენ. მე ვამბობ, რომ ქართლელი გლეხის ცხოვრება ბევრით და ბევრით მომაგონებს იმერელს, მაგრამ აქაური დღესასწაულობა ღმერთმა შეინახოს! აქ როგორც იმერეთშიაც უფრო ხშირათ საეკლესიო უქმეებს დღესასწაულობენ, და ნურას უკაცრავათ, ჩვენს ბუნებაში ჯერ ის თვისება როდი არის, რომ მოვიგონოთ ჩვენი ნათელი დღე, ჩვენი პატიოსანი დრო, და ისეც ვიდღესასწაულოთ, რაც მართლა, რომ ძვირფასია. ამისთანა სამხიარულო დროს გატარება, თუ გინდ რომ წამი იყოს, განა ბევრათ არ გაგვაპატიოსნებდა და არ მოგვცემდა იმ ენერგიას, რომლითაც კაცი ყოველთვის უფრო ადვილათ სძლევს ყველა გაჭირვებას, რაც კი მას წინ დახვდება?

N.

ფოთი, 17 აგვისტოს.

დღეს ფოთის რკინის გზის სტანციასთან, რვა საათზედ დილით, რკინის გზის პოეზდების შემდგენელი ახალგაზდა უ. ზეგექკორი ცეცხლის ურმებმა გასჭყლიტეს, როცა მანევრას აკეთებდა ის; საწყალი უეცრად ჩავარდა ცეცხლის ურმებ-შუა და გარეთ ვერ გამოასწრო. შემდეგ ურმების ტაკებისა, ზეგექკორმა წამოიძახა: „ვაი, შენ, ჩემო ცოლ-შვილო!“ და უეცრად განუტევა სული საუკუნოდ. რომ გენახათ, რა მდგომარეობაში იყო ცოლი, როცა ქმრის სიკვდილი გაიგო, სწორეთ გულ დაგწვავდათ. ხვალ 12 საათზედ დილით დანიშნულია ორი ცეცხლის ურემი განსვენებულის გვამის წასაღებად ახალ-სენაკამდის;—მოგახსენებენ რომ ფოთი-თფილისის რკინის გზის უფროსმა უ. ძლიმენკომ განსვენებულის დასამარხავად რამოდენიმე მანეთი დანიშნაო, ამასთანავე ქვრივისათვის პენსიის დანიშვნას აპირებსო. ომში მოკლულის ცოლ-შვილს თუ კი დააჯილდოებენ ხოლმე, რკინის გზით მოკლულმა რაღა დაიშავა? განა ეს სიკვდილი არ არის?!.. და რომ უ. ძლიმენკოს სრულად არ გაუჭირდება რამდენიმე მანეთის გაჩენა საბრალო ზეგექკორის ცოლ-შვილისათვის, ეს ცხადია. საზღვარს გარეთ ამისთანა ჩვეულება ხშირიაო სხვა და სხვა გვარ კომპანიებში მოსამსახურე კაცებისთვის და სასიამოვნო იქნებოდა, რომ ჩვენშიაც შემოვიდოდეს ეს სამართლიანი და კაცთ მოყვარეობის დამამტკიცებელი წესი.

---

ახალ-სენაკი 15-ს აგვისტოს.

წასულ კვირას, მე ერთ სოფელში წირვა მოვისმინე, სადაც შემდეგ წირვისა მოიყვანეს ერთი გლეხის კაცის შვილი, რომელიც თვრამეტის ან ოცის წლისა იქნებოდა და ირთავდა ცოლად ერთს თვრამეტის წლისვე გლეხის კაცის ქალს. მღვდელს სთხოვეს გვირგვინის კურთხევა. მღვდელმა მოსთხოვა საქორწინეებს ცოდნა ლოცვებისა: სიმბოლო სარწმუნებისა, მამაო ჩვენოსი და ათი მცნებისა, როგორც ზეპირად, ეგრეთვე ახსნითაც და გამოაცხადა, რომ, უკეთუ საქორწინეებს ხსენებული ლოცვები არ ეცოდინებათ, მე ისე გვირგვინს მაგათ ვერ უკურთხებო; ეპისკოპოზისაგან გვაქვს გამოცხადებულიო, რაზედაც ყველა მღვდლებს ხელი მოწერილი გვაქვსო, რომ ამას მტკიცედ უნდა ვასრულებდეთო. მართლაც, მე ამ ღვდლისას ექვსი თვის წინეთ ვიყავი და ვნახე, რომ მისას რამოდენიმე ყმაწვილი კაცი და ქალი სწავლობდნენ პაწაწა ანბანას, რომელშიაც ეს ხსენებული ლოცვები ეწერა; იმათგანნი, რომელთაც კითხვა იცოდენ, ლოცვებს ზეპირათ სწავლობდენ, და მღვდელი კიდევაც აუხსნიდა ხოლმე ნაზეპირევ ლოცვებს. რამოდენიმე კვირის შემდეგ კიდევ მომიხდა იმ მღვდლისას მისვლა და ეხლაკი რომელნიც წინეთ იმ ლოცვებს ზეპირობდენ, დღეს სულ სხვა წიგნებს კითხულობდენ. მე მქონდა ქართული გაზეთი „დროება“, მთხოვეს და სულ ერთიანათ თავიდან ბოლომდის წაკითხეს ჩემს იქ ყოფაში,—მე დავრჩი სამს დღეს. ეს მე მეგონა, მღვდელს შკოლა გაუხსნიათქო და მსურველებიც უშოვნიათქო; ძლიერ მიამა და მღვდელი ამისთანა კეთილი საქმისთვის ვაქე. ეხლა კი ამ ქორწინებას რომ დავესწარი, მივხვდი, რომ მღვდლისას მოგროვების მიზეზი სხვა ყოფილა: მაშინ თურმე იმის შიშით სწავლობდენ, რომ მღვდელმა გვირგვინის კურთხევაზე უარი არ გვითხრასო. რადგანც ახლანდელმა გვირგვინის საკურთხმა ვაჟმა და ქალმა ლოცვები არ იცოდენ, მღვდელმა მართლა ცოტა ხანს უარს დაადგა, მაგრამ, როცა ფული მოუტანეს, ლოცვების მცოდნეც გახდენ და მღველმა გვირგვინიც მალე უკურთხა.

თურმე, როდესაც მისის ყოვლად უსამღვდელოების იმერეთის ეპისკოპოსის მოწერილობა იყო მღვდლებზე, რომ მღვდლებს არავისთვის გვირგვინი არ უნდა ეკურთხებია, თუ არ ეცოდინებოდათ ზევით ნახსენები ლოცვები ზეპირად და ახსნითაც, მაშინ ბევრმა ისწავლეს თურმე; მაგრამ, როგორც იმა მოწერილობის ასრულება შეასუსტეს მღვდლებმა, სწავლასაც ყველამ თავი მიანება და ეხლა აღარავინ არ იცის საქორწინემ ის ლოცვები. ქორწინების შესრულების შემდეგ მღვდელს მე ვკითხე: ისევ სწავლობენ, მამაო, თქვენთან ვაჟები და ქალები, როგორც წინათ, თუ აღარა? ამაზე, ერთმა იქ მყოფმა დიაკვანმა მიპასუხა: „მღვდლები რომ ფულების გაუმაძღარი მოყვარენი არ იყვნენ, ხსენებული მოწერილობის მტკიცედ აღსრულება იქნებოდა საფუძველი სწავლის—წერა-კითხვის გავრცელებისა. . . . . . წერა-კითხვა ასზე ერთმა თუ იცის, და იცის ისე საძაგლად, რომ ერთს საათს მოუნდება ორი სტრიქონის წაკითხვას, ან თავის სახელი და გვარის მოწერას. ეხლა რომ ჩვენი მამები, მღვდლები, მტკიცეთ აღასრულებენ მისის ყოვლად უსამღვდელოების მოწერილობას და მართლა რომ ისეთებს არ უკურთხებდენ გვირგვინს, რომელთაც საჭირო მართლმადიდებლისთვის ლოცვები ახსნით და ზეპირად არ ეცოდინებათ, ძლიერ კარგი იქნებოდა არავინ ახალგაზდა კაცი არც ქალი არ დარჩებოდა, წერა-კითხვა რომ არ ესწავლა. ვისურვებ, ეს მისის ყოვლად უსამღვდელოების იმერეთის ეპისკოპოზის მოწერილობა ლოცვების ცოდნაზედ მტკიცეთ სრულდებოდეს.

ნ. ქ—კი.

---

# რუსეთი

— სამს აგვისტოს პიატიგორსკში მისულა ერთი უწარჩინებულესი გიდროტეხნიკი ფრანცუზი, ჟულ-ფრანსუა, თავის შვილით. ამ ფრანსუასთან ჩვენს მმართებლობას კონტრაკტი შეუკრავს, რომ პიატიგორსკში, ჟელეზნოვოდსკში, ესსენტუკში და ქისლოვოდსკში გამოიკვლიოს და მონახოს ახალი წყლები და საუზო მილები ისე მოაწყობინოს, რომ ეხლანდელსავით წყლის ნაკლებობა აღარ იქნეს. ფრანსუას დაუხედავს ყველა ეს ალაგები და უთქვამს, რომ ჟელეზნოვოდსკის წყლებს ძლიერ მოკლეს დროში გავაკეთებო. სხვა წყლების ჯეროვანს მდგომარეობაში მოსაყვანად უფრო მომეტებული მუშაობა დამჭირდებაო.

---

— რუსეთში, საცაკი ახალი სამსაჯულო წესი და ერობა დაფუძნებულია, ყველგან გააუქმეს მომრიგებელი შუამდგომლების თანამდებობა. ზოგი ამ მომრიგებელ მოსამართლეთაგანი ჩვენსკენ წამოსულან და აქ სამსახურს აპირებენ. გავიგონეთ, რომ ზოგიერთს ამათგანს უეზდების უფროსობას აძლევენო.

— ერთს რუსეთის სოფელში (ოლშანში) საშინელი ალიაქოთი მომხდარა. თითქმის მთელის სოფლის კაცსა და ქალს დაუჭერიათ ხელში რაც შინ რამე მოეძევოდათ, თუ ცხვირსახოცი, თუ ტილო და აევჯეულობა და გამგზავრებულან ოლშანიდგან ოთხ ვერსზედ მოშორებით მდებარე სლობოტკისაკენ, ოსინოვსკისაკენ. ამის მიზეზი თურმე ის იყო, რომ ოსინოვკაში ოლშანიდგან უცებ აშენებული ქარის წისქვილი დაინახეს, რომელიც ოლშანის დედაბრებს მიწიდგან საკვირველებით ამომართული საყდარი ეგონათ თურმე; დედაბრებმა დააჯერეს მთელი სოფლის ხალხი და გაემგზავრნენ საკვირველის საყდრისაკენ და თან წაიღეს შესაწირად, ვისაც რა გააჩნდა სახლში. გამოჩნდა, რომ ერთს გლეხს საწისქვილე ქვა და სხვა ნაწილები დაემზადებია, ამდგარიყო დილას ძალიან ადრე და რამდენიმე საათის განმავალობაში უცებ წისქვილი აეშენებია.

— პეტერბურღის უეზდის ზოგიერთ სოფლებში, სადაც ფინლანდიელები სახლობან, თითქმის ყოველს ოჯახში ჰყავთ თურმე რამდენიმე ძაღლი, რომელთაც ძლიერ სქელი, რბილი და გრძელი ბალანი აქვთ თურმე. წელიწადში ამ ძაღლებს ორჯერ-სამჯერ ჰკრეჭენ და ამ მატყლისაგან საწინდე და სახოხე ძაფებს აკეთებენ. ამბობენ, ამ მატყლისაგან იმდენს სახოხე შალს და წინდებს ქსოვენ, რომ გასასყიდათაც მიაქვთ თურმე ვიბორგის ქალაქში.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— ეხლა გამოჩნდა, რომ ბაზენის გაქცევა სრულიად ისე საოცარათ არ მომხდარა, როგორც სწერენ გაზეთებში. ბაზენი თავისუფლათ გამოსულა სატუსაღოს კარებიდგან და ჩაბრძანებულა ცეცხლის გემში, გარეშე ყოვლის შიშისა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბაზენის გაქცევა წინათვე დამზადებული ჰყოფილა ბონაპარტიელების ბანაკში და ბევრი მონაწილეც არის ამ საქმეში.

— ფრანცუზულ ჟურნალებში დიდი ბაასი ამტყდარა ამაზედ, შეიძლება ბაზენის გამოთხოვა რომელიმე სახელმწიფოთაგან, თუ არა? უმრავლესობა იმ აზრის არის, რომ ბაზენის გამოთხოვა შეუძლებელია, რადგანაც იმისი დანაშაულობა არ არის მოხსენებული იმ პირობაში, რომლის ძალით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გასცენ დამნაშევები.

—ბაზენის გაპარვა მარგარიტის კუნძულიდამ ამ ნაირათ არის აწერილი ფრანცუზულ გაზეთებში: კვირა სალამოს, 29 ივლისს, ბაზენის ცოლი და ერთი იმის ახლო ნათესავი ოცი წლის ყმაწვილი კაცი წასულან ნავის საქირავებლათ, მითომ ზღვაზედ გვინდა გავისეირნოთო. ერთ მეთევზეს უცვნია ბაზენის ცოლი და მაშინვე მიუცია ნავი, რომელშიაც ჩამსხდარან ორნივენი, აუღიათ ნიჩბები ხელში და მარგარიტისკენ გაუწევნიათ. ბაზენი კი უწინდელს თავის ადიუტანტთან და ციხის უფროსთან დასეირნობდა საპყრობილის წინ—რომ აზრი არა აიღონ რაო. ღამის დარაჯს ბრძანება ჰქონდა, მთელი ღამე საპყრობილის წინ ევლო. დილის 5 საათზედ კი მიდიოდა რადგანაც დღისით ციხიდგან გაპარვა შეუძლებელია. 7 საათზედ ბაზენი გამოესალმა თავის მობაასეებს და ოთახში შევიდა, რადგანაც ძალიან მოიღრუბლა და საშინელი ქარიც ამოვარდა. იმ ღამეს მეტად ბნელოდა და ზღვაც თურმე ღელავდა. მეორე დილით გაიგეს, რომ წუხელის ბაზენი გაპარულაო.

აი რა მოუხერხებია ტუსაღს გასაქცევად: გაუხვრეტნია კედელი, რომელიც ზღვისაკენ გადის, შიგ თოკი (რომლითაც იმისი ჩამოდანი იყო შეკრული) გაუტანია; ერთი წვერი შიგნიდან დაუმაგრებია, მეორე კი ზღვისკენ გადუტანია და ამ თოკს ჩაჰყოლია; იქ თავის ცოლი და ნათესავი დახვედრიან ნავით, გადასულა მათთან და გაუწევნია ხომალდისკენ, რომელიც რამდენიმე დღე თურმე მოჩანდა მარგარიტიდან. ამბობენ ეს ხომალდი იტალიისა იყოო.

რამდენიმე ბონაპარტელი დეპუტატი ბრიუსსელში წასულა ბაზენის სანახავად, რადგანაც მარშალს იქ მიელიან.

—გაზეთები ამ ნაირი ხუმრობით არის აწერილი ბაზენის გაპარვა:

სანახავი პირველი.

ციხე ს. მარგარიტის კუნძულზე, ბაზენის ოთახი.

ბაზენი (ზის და ზარს აწკარუნებს, შემოდის დარაჯი) ჩემი წასვლისთვის (ე. ი. გაპარვისთვის) სუყველაფერი მზათ არის?

დარაჯი. მზათ გახლავსთ, თქვენო აღმატებულებავ.

ბაზ. თოკი გადაკიდებულია ზღვისკენ?

დარ. გადაკიდებული გახლავსთ და სისხლიცა აქვს მოცხებული. ამის გულისთვის დღეს ციხის უფროსმა ხბო დააკვლევინა.

ბაზ. ჩუმათ ეგდე. ჩემი ცოლი მოვიდა?

დარ. დიახ გიახლათ. აი ნახევარ საათი იქნება რაც გელოდებიან.

ბაზ. კარგი, წადი. მე შენ არ დაგივიწყებ.

დარ. ვეცდები, თქვენო აღმატებულებავ.

ბაზენი. ხომ არა მავიწყდება რა აქა. (ჯიბეებს იშინჯავს) მე მგონი არაფერი... ხომ კარგი ცეცხლის გემი უქირავებია ჩემ ცოლს? ეს იტალიის გემები სულ საძაგლები არიან.. მაგრამ არა მიჭირს რა, მე ხომ პირველ კლასში ვიქნები (გადის ოთახიდამ და კარებს ღიას უშვებს): შემოდის ციხის უფროსი.

ციხ. უფრ. კარებიც არ მიუხურავს. რა უგულის ყურობაა! წავიდე ტელეგრამმა შევთხზა მაკ-მაჰონთან, (გადის და კარებსა ხურავს).

სანახავი მეორე.

ზღვის პირი: ბაზენის მეუღლე და ამის ნათესავი ნავში სხედან.

ბაზენის ცოლი. რავქნა, რა დღემართა! რათ დაიგვიანა ამდენი ხანი? იმას ასე ჰგონია, ძალიან სასიამოვნო იყოს აქ ყოფნა.

ნათესავი. აგე მოდის! (ყვირის) აქა ვართ უ. მარშალო. ნელა ჩამობრძანდი, ფეხი არას წამოჰკრათ.

ბაზენი. მე ეხლავ ფარანს აგანთებ (ანთებს).

ცოლი. რა არი, ამდენი ხანი გვალოდინე

ბაზენი. რავქნა, ჩემო გრიტო, უნდა სუყველა წესები შემესრულებინა. (ნელ-ნელა ჯდება ნავში). აბა ახლა კი წავიდეთ (მიდიან).

# ნარევი

— თუ რა ძვირად ღირს დღიური გაზეთის გამოცემა, ამას „მმართებლობის მოამბის“ შემოსავალ-გასავლის ანგარიში გვაჩვენებს, რომელიც „პეტერბურღის უწყებაშია“ დაბეჭდილი. „მმართებლობის უწყება“ იბეჭდება 1869 წლიდგან. სამის წლის განმავალობაში აი რა დახარჯულა ამ გაზეთის გამოცემაში: 1870-ში—134,722 მ., 1871-ში—148,556 მ. და 1872-ში—139,422 მ. ე. ი. საშუალო რიცხვით 140 ათასი მანეთი წელიწადში, და აქედამ რედაქციაზედ და რედაქციისათვის საჭირო კაცებზედ 43 ათასი მანეთი, მწერლებისა და სამსაჯულოებში საქმეთ წარმოების ანგარიშის შემდგენელთა სასყიდლათ 20,500 მანეთი; დანარჩენი 86 ათასი მანეთი საბეჭდავად, ქაღალდისათვის, და გაზეთის გაგზავნისა და დარიგებისათვის. შემოსავალი ამ სამის წლის განმავალობაში აი რა ყოფილა: 1870-ში—135,954 მ., 1871-ში—152,044 მ. და 1872-ში — 141,794 მან. ანუ საშუალო რიცხვით 143,265 მან. ამ რიცხვიდგან ხელის მომწერლებისაგან შემოსულა 110,265 მ. და სახაზინო და კერძო განცხადებებისაგან 33 ათასი მანეთი. მაშა სადამე ნაღდი შემოსავალი იმ გაზეთისა, რომელსაც თითქმის ათიათასამდის ვალდებული ხელის მომწერი ყავს და რომელშიაც დასაბეჭდათ ყველა სახაზინო განცხადებანი იგზავნება, მხოლოდ 23 მან. 65 ყოფილა. არ უნდა დავივიწყოთ ესეც რომ ყველა ამ გაზეთის რედაქციის წევრნი ჯამაგირს გარდა სამსახურშიაც ითვლებიან და ჩინებსა, ორდენებსა და პენსიებს ელიან.

— სტავროპოლის გუბერნიაში ერთს სომეხს გვარიანი მხნეობა გამოუჩენია: ეს სომეხი თავის შინისაკენ მიდიოდა თურმე ღამით და ცოტა მოშორებით, ნახევარის ვერსტის მანძილზედ, რაღაც ცეცხლისავით მანათობელი შეუნიშნავს, რომ მიახლოვებია. დაუნახავს, რომ ეს ცეცხლი დიდი უშველებელი ხბოს ოდენა მგლის თვალები იყო. მგელი გამოკიდებია ცხენოსანს სომეხს. მაგრამ ცხენს მგლისათვის საფეთქელში წიხლი ურტყამს და გაუბრუებია. სომეხს რამდენჯერმე მათრახი გადუჭკრავს მგლისათვის, რომელიც ხელ-ახლა ფეხზედ კბენას უპირებდა თურმე. მათრახის გამო მგელი კიდევ უფრო გარეტებულა და დაცემულა. მაშინ სომეხი გადმომხტარა ცხენიდამ, კისერში თოკი ჩაუბამს მგილსთვის, პირი შეუკრავს, და როცა მგელი მოსულიერებულა, შინ წამოუყვანია.

— პარიჟის ქალაქში 2407 ქუჩა ყოფილა, 113 ხეივანი, 84 ბულვარი, 136 მეიდანი, 225 საყდარი, 22 დიდი თეატრი, 31 უმაღლესი სასწავლებელი, 38 სამოქალაქო ლაზარეთი, 8 რკინის გზის ვოკზალი და 29 დიდი ხიდი.

— დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ნიუ-იორკის ქალაქის (ამერიკაში) გაზეთებში ერთი გერმანიელი (ნემეცი) აცხადებს, რომ ორის ცოლისაგან ორმოცდა ექვსი შვილი შემეძინაო. ეხლა ერთი მორმონი (მორმონობა სჯულის განწვალებაა) იტალიელის ტომისა, დომინიკო პელლეგრინო, აცხადებს საბუთებით, რომ იმას ოცი ცოლისაგან სამოცდა თოთხმეტი შვილი შესძენია და ყველანი ცოცხალი არიან. თვითონ ორმოცდა თორმეტის წლის კაცია და მორმონების უფროსის ბრაიგამ იუნგის სასახლეში მზარეულთ უხუცესია; ცოლები მზარეულობაში ეხმარებიან მას და შვილებთაგან ერთი ეპისკოპოსია თურმე და სამი მქადაგებელი.

— ძლიერ შესანიშნავი და საყურადღებოა ყველასათვის ის ამბავი, რომ ამ ბოლოს დროს ამერიკიდგან თანდისთან უფრო და უფრო მრავალი მუშა ხალხი მოდის ხელახლავ ევროპაში. ევროპიდგან ამერიკაში გადასახლება ეჭარს ხალხსა და იმათი ინტერესების დამცველს ეკონომისტებს უებარ წამლად მიაჩნდათ,—ეგონათ, რომ ამითი მუშა-ლატაკების (პროლეტარიების) მდგომარეობა გაუმჯობესდება, ისინი აღარ მოისურვებენ ეკონომიური ცხოვრების შეცვლას და ჩვენი ბატონობა ეკონომიურ წყობილებაში გაგრძელდებაო. ყველამ იცის, რომ თავდაპირველად ჩრდილოეთის ამერიკაში გარდასახლების მიზეზი პოლიტიკური მდგომარეობა იყო. თანდასთან პოლიტიკურს გადასახლებულებში მუშებიც გაერივნენ. ეს მუშების გარდასახლება გამოიწვია მუშა-ლატაკების გამრავლებამ, რომელნიც ევროპაში სამუშაოს ველარ შოულობდნენ და ამიტომ ამერიკისაკენ მიემგზავრებოდნენ. გადასახლება კიდევ უფრო გახშირდა უკანასკნელის 25 წლის განმავალობაში, მას აქეთ რაც მუშა ხალხს იმედი მოესპო, რომ თავის მდგომარეობას მალე გაიუმჯობესებდა. ის ჰფიქრობდა, რომ გადასახლებით თავის ცხოვრებასაც გაიადვილებდა და ევროპაში დარჩენილს მოძმეებსაც აღარ შეეჯიბრებოდა სამუშაოს ძებნაში. ეხლა მუშების ისევ ევროპაში გადმოსვლა საქმით უმტკიცებს ყველას, ვისაც ამ გვარი საშუალებით ევროპიელი ცხოვრების გაუმჯობესებას ჰფიქრობდა, რომ შეჯიბრება და ამით სამუშაო ხელფასის დაკლება არ მოისპობა გადასახლებით, ან სხვა ნაირად მუშათა რიცხვის შემცირებით; რომ ეკონომიური წყობილება, ქონების მეპატრონეთა და მუშა-ლატაკთა დამოკიდებულება უნდა გარდაწყდეს საუმჯობესოდ უფრო სხვა საფუძვლიანი საშუალებით. ამას იქით ჯიუტი უმრავლესობის აზრმა ეკონომიური კითხვების გარდაწყვეტაზედ უთუოდ სხვა მიმართულება უნდა მიიღოს.

— ოდესაში მომკვდარა ერთი ას ორმოცდა რვა წლის დედაკაცი. ოცი წელიწადია თურმე, რაც ამ დედაკაცს მუშაობის ღონე დაჰკარგვია, თორემ მანემდის სულ მუშაობდა თურმე, უფრო ხშირად სარეცხსა რეცხავდაო; ამ ბოლოს დროს თავის ქალთან იდგა და ისე მხნედ იყო, რომ შვილის შვილებს უვლიდა და საყდარშიაც დადიოდაო. ამ დედაკაცს თორმეტი შვილი ჰყოლია, უფროსი იმისი შვილის შვილი ორმოცდა ათი წლის არისო და რამდენიმე შვილის-შვილის-შვილები დარჩენია. ერთი ამ მოხუცებული დედაკაცის ქალი ოთხმოცი წლის იქნებაო, ასე რომ სამოცდა ათის წლის მოხუცს შვილოსნობა კიდევ ჰქონია, როცა ეს ეხლა ოთხმოცი წლის ქალი დაბადებულა.

— მონპელიეს ქალაქში (სამხრეთ საფრანგეთშია) ერთს ქალს ეკზამენი დაუჭერია და აფთექრობის ხარისხი მიუღია.

— ლონდონში ერთი საკვირველი ქორწილი მომხდარა: დედოფალს ხელები არ ჰქონია სულ, ამიტომ საქორწინო ბეჭედი ფეხის შუა თითზედ ჩამოუცვამს და საეკლესიო წიგნში ფეხით მოუწერია თავისი სახელი და გვარი.

— ერთს ნემეცს წყალში გასანათებელი ლამპარი გამოუგონებია, რომელიც ზღვაში ჩამავალს დიდი ზარის ქვეშ მომწყვდეულს კაცს ქუდზედ უნდა ჰქონდეს თურმე მიკრული. ეს ლამპარი გამოუცდიათ და ძლიერ კარგი გამომდგარა.

— ალპის მთებში კიდევ გვირაბს აკეთებენ რკინის გზის გასაყვანად. ეს გვირაბი სენ-გოთარდისაზედ 3,500 მეტრით უგრძესი იქნება და 83 მილლიონ ფრანკად ეღირებაო. აქედგან საფრანგეთმა უნდა დახარჯოს 36 მილლიონი ფრანკი, შვეიცარიამ 3,600, ფრ., და იტალიამ 8,400,000 ფრანკი.

— ლონდონში ერთს სპეკულატორს დაუბეჭდავს ხელ-მეორეთ ის ნომერი ინგლისური „დროებისა“, რომელშიაც ვატერლოოს ომის ამბავი ეწერა. მაშინ ინგლისური „დროება“ მარტო ოთხი გვერდი ყოფილა, რომელთაგან ორი განცხადებებს სჭერია და ორი სტატიებსა და ამბებს. ამბობენ, რომ ეს დაბეჭდილი ნომერი ძალიან ისყიდებაო.

— პრუსიის სამხედრო შტაბმა გამოაცხადა სტატისტიკა ყველა ტელეგრაფებისა, რომელთა სიგძე ითვლება 576000 კილომეტრი, რომელზედაც გაყვანილია 1,681000 კილომეტრი ილექტრონული ძაფები.

წყლის ქვეშ გაყვანილი ტელეგრაფები შეადგენენ 84,600 კილომეტრს. ტელეგრაფის სტანციები ითვლება 25,000, გაგზავნილი ტელეგრაფების რიცხვი, ერთი მეორეზე, 70,000,000.

— ქ. ჩიკაგოს მცხოვრებს ვილაც ზრეის საკვირველი ხერხი მოუგონია: ელექტრული სიმების შემწეობით ფორტეპიანოს ხმას გარდასცემს 2,400 მილის სიშორეზედ. იმედია ჩვენს გაჭირვებას რკინის სიმების შემწეობით მალე ჩვენს მამა-პაპას შევატყობინებთ.

შესახებ ახალი ზღვის გაკეთებისა ალჟირში ფ. ლესეპსის პროექტით აი რას სწერენ ფრანცუზულ გაზეთებში: საფრანგეთის მართებლობამ კიდევაც გადაწყვიტა ფულის მიცემა ლესეპსისთვის, რომ იმან შუა ალჟირში ზღვა გააჩინოს სიგრძით 190 და სიგანით 36 მილი. იმ ადგილის მდებარეობა, სადაც არის განზრახვა ზღვის გაყვანისა, ძალიან ამსუბუქებს ლესეპსის პლანის შესრულებას, რადგანაც ეს ალაგი ბევრად დაბალზედ არის ვიდრე ზღვის სიმაღლე. მაგრამ ლესეპსის პროექტმა ერთობ დიდი შიში აღძრა ფრანცუზულ ჟურნალებში. ისინი ამბობენ, რომ ამ წყლებისაგან ასრულ ოხშივალმა არ გააგრილოს ერთობ საფრანგეთის ჰაერიო. ერთი გაზეთი იქამდის მივიდა, რომ ამტკიცებს, ვითომ ლესეპსის პლანის სისრულეში მოყვანით საფრანგეთში ისევ ყინულთ პერიოდი დადგებაო.

უფრო გამოკვლეული კანონებით შეიტყეს, რომ უდაბური და მიყრუებული ადგილი მალ [illegible] 37 მეტრით მაინც ქვეით არის საშუალო ზღვის სიმაღლეზედ. ლესეპსს ჰქონდა განზრახვა, რომ იქ გაეყვანა ზღვა, მაგრამ ეს საქმე ჯერ იმიტომ შეჩერებულა, რადგანაც ფრანცუზულ ჟურნალებში ერთი უშველებელი ბაასი ატყდა მის სარგებლობაზედ. თორემ მმართებლობას გადადებული აქვს ამ განზრახვისთვის თუხმეტი მილიონი ფრანკი.

ერთ მოცლილ ნემეცს ძალიან გულდასხმით გამოუანგარიშებია ეხლანდელი ევროპიული სამხედრო ძალა. ამ ჟამად ევროპას ჰყავს შვიდი მილლიონი სამას ოთხმოცდა რვა ათასი კაცი (7,388,000). ცხრაას თორმეტი ათასი საომარი ცხენი (912,000) და თოთხმეტი ათას ხუთასი (114, 500) სხვა და სხვა ზომის ზარბაზანი აქვს. ყველა ეს კაცები რომ რიგზედ დაამწკრივოთ, მაშინ ისინი მოიკავებდენ ხუთი ათას ვერსტს. და სულ ერთიანათ ზარბაზნები, ცხენები, და კაცები რომ დარაზმოთ, მაშინ საჭიროა თორმეტი დღის რკინის გზით სწრაფი სიარული, რომ ეს პარადი მთლათ ნახო. ამ რიცხვში არ შედის ზღვის საომარი ძალა. ამ ჯარის შესანახავად საჭიროა ყოველ წლობით სამი ათასი მილლიონი ფრანკი და ყველა ეს ხარჯი გადის იმაზედ, რომ უფრო მალე და კარგათ ამოწყვიტონ ერთმანეთი ევროპიელებმა!

## რაჭიდგან.

ჩემი სურვილი აღსრულდა. დაბა ონის სახის შეცვლა. რაჭველის გულკეთილობით ვინ სარგებლობს! „ვაიმე ჩემო რაჭაო, ხბოების ჭაჭაო“. სადმელის მკითხავი.

მკითხველო, მე თუმცალა რაჭის მიწის შვილი ვარ, მაგრამ შვიდი წლის რომ შევქნილვარ მას აქეთ ოცს წლამდის მოშორებული ვიყავი ჩემს სამშობლო მაზრას. სანამ უცხო ადგილზე ვსცხოვრობდი, ისე მენატრებოდა რაჭაში მისვლა, რაჭველის ნახვა, რომ აქაური მათხოვარიც მენახოს, რაღაც გამოუთქმელი ალტაცებით შევხვდებოდი: ლოყებზე სიხარულის ალი ამენთებოდა, გული ძგერას დამიწყებდა და ისე მოვისმენდი ხოლმე მისგან რაჭის ამბავს. რასაკვირველია ამას სულ ჩემს გულკეთილობას, სანტიმენტალურ ხასიათს არ ვაწერ, — ვგონებ, ჩემს ადგილზე სხვაც ასე მოიქცეოდა, — ეს ბუნების კანონია, სამშობლოს ასეთი მიზიდულება აქვს. როგორც იყო აღსრულდა ჩემი გულის წადილი და ახლა ვხარობ მე რაჭის ცქერით. თუმცალა დღემდის, დროთა ვითარების გამო, აქაური ცხოვრების არა გამგებობდარა, მაგრამ ახლა კი ბევრი შემთხვევები მაქვს, ცოტაც არის, გავაცნო მკითხველებს ჩვენი ცხოვრება წვრილ-წვრილ ამბებით.

×

რაჭის გული, დაბა ონი, წარსული ილიასის თვემდის, ერთის ჩვენის პოეტისა არ იყოს და ფოთის ქალაქის, სწორეთ კბილებ ჩაცვივნულ ბებერს ჰგავდა: შარშან წინ ცეცხლისაგან გადარუჯულს ადგილზე აქა-იქა წამოყუნტულიყვნენ ფაცხის, ან რგვალი ხის დუქნები, დღეს კი ოროლ-სამსამ ეტაჟიანი თლილი ქვის შენობები გამოიწყეს და სრული იმედია ერთის ან ორი წლის უკან ონი ლამაზი სანახავი იქნება შორიდგან. გარეგან ტყავს მალე გამოიცვლის, მაგრამ შინაგანი ცხოვრების გამოცვლა როდის უნდა იქნეს, იმას კი ვეღარ მივხვდები. ნეტაი თუ იყოს კიდევ ამის მზგავსი შეუთვისებელი, განების უმოძრაო ხალხი, როგორც აქ. სხვა ამისთანა პატარა ქალაქში, როგორც ონი, წელიწადი ისე არ გაივლის, ან სპექტაკლები არ გამართონ, ან შკოლა არ გახსნან, ან სხვა რამე საზოგადო კეთილი საქმე არ გააკეთონ, აქ კი ღმერთმა შეინახოს. რა კეთილი გაკეთდება იმ საზოგადოებაში, სადაც ორს, სამს სახლობას თუ ნახავ, რომ ერთ-მანეთს უახლოვდებოდეს. აქ ნახავთ ბევრს ისეთს თავ-მელოტა, გულ ჟანგიანს, სულით მდაბალს კაცებს, რომელნიც სულ მცირე პიროვანი სარგებლობისთვის არ დაზოგავენ გასასვრელათ, ვინც უნდა პატიოსანი იყო. მოდი მოსთხოვე ამისთანა კაცებს საზოგადო სარგებლობაზე ზრუნვა! ონელებო! რა უყავით, სად დაჰკარგეთ ის მონაწილეობა, რომელსაც თქვენ იღებდით სამი, ოთხი წლის წინეთ სპექტაკლების წარმოდგენაში? ერთი „კატა აწონა“ გქონდათ დასწავლილი, ის მაინც გაიმეორეთ. (მაგრამ, უკაცრავათ, ვგონებ ის წარმომდგენელნი პირები აღარც კი არიან ახლა ონში) სად დაჰკარგეთ თქვენი ქალების შკოლა, რომელსაც ორი წლის წინეთ განსვენებული ნინა პ. სერჟპუტოვსკისა თავზე ადნებოდა?!

×

რაჭველი კაცი ბუნებით ძალიან კეთილია: მას გაუცინე, ტკბილი სიტყვა უთხარი, თუმც დაგპატიჟოს, მოულხინე, რაც აზრი წარმოსთქვას შენთან, მოუწონე, — სწორეთ შენისთანა კაცი იმას არ ეყოლება; იმას ნუ ელი, რომ შენი უკანა აზრები მან შეიტყოს; პირში თუ არას აწყენინებ, ზურგს უკან როგორიც გინდა იმისთანა მაღალი ორმო გაუთხარე, ადვილათ ჩააგდებ შიგ. ამ გვარი რაჭველის გულკეთილობით ბევრს მოსულს უსარგებლნია: იმდენი გასძელი, მკითხველო, რამდენი აქაური ღარიბი კაცების პურით, ღვინით და ფულითაც მოსულს კაცს გული ეჯერებინოს. ამ სიტყვებს რომ ვსწერ, შემდგომი სიტყვები მაგონდება: „ვაიმე ჩემო რაჭაო, ჩემო ხბოების ჭაჭაო“ ამ სიტყვებს ხშირათ გაიგონებთ ხოლმე ახლაც რაჭაში და ვისაც ჰკითხავთ მათს მნიშვნელობას, მასაც მალე შეიტყობთ. ძველ დროში აქ ყოფილა ერთი უფროსი კაცი რომელიც, მისდა უნებურათ სამსახურიდგან დათხოვნილი, თურმე ზემო მოყვანილი სიტყვებით ეთხოვებოდა რაჭას.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ეს მაზრა ძალიან სახრავია; ხბოს ჭაჭები (თირკმლები) და ძროხის ბეჭები, თუ უწინდელივით არა, მაგრამ ახლაც ბევრი იხარჯება ზოგიერთთან.

×

სხვა ბედნიერებასთან რაჭას ამ ჟამად ერთი ისეთი ვინმე გამოუჩნდა, რომ აღარაფერი ცუდი საქმის აღარ გვეშინია. ჩვენ მის წყალობით წინდა-წინ ვიგებთ, თუ რამე ცუდი შემთხვევა გველის და მისს ასაცილებელს წამალსაც სულ ადვილად ვპოულობთ: ორ-ორი აბაზის მეტი არ გვეხარჯება. თუმც ვისმეს გსურსთ, რა ბედისა ხართ შეიტყოთ, რაჭაში მობძანდით და სოფელი სადმელი იკითხეთ. აქ თქვენ ნახავთ ერთს თორმეტი წლის პატარა ქალს, რომელიც, თურმე, როპაპის (კუდიანების უფროსის) ნაშაგირდევია; იმას რაღაცაზე თავის ოსტატზე გული დასწყვეტია და გამოსცლია; ახლა, ბატონო, ზის თავის მამის ქოხში და თუკი სადმე რაჭაში კუდიანებია, ყველას სახელს ლაპარაკობს. ერთს ეუბნება, შენ ის ქალი არა ხარ, რომელმაც შვილი-შვილს გული ამოაცალე და როპპას მიართვიო, მეორეს — შენ ის არა ხარ, ამა და ამ დროს ჩემთან ქალებში კატაზე იჯექი, დაჭენობდი და ვენახებს ნაცარს აყრიდი და სხ. რა ბძანებაა, ბატონო, თუმც კი რამე ბოროტ მოქმედება კი ყოფილა რაჭაში, სულ აღმოაჩინა ამ პატარა ქალმა. ამ ქალს ორი აბაზი აჩუქეთ და თუ რამე ცუდი გელისთ, იმ წამსვე გიწინასწარმეტყველებსთ და მისს ასაცილებელს საშუალებასაც გასწავლისთ. თუმცალა ამისთანა წინასწარმეტყველებით ბევრგან დედა შვილს შუა დიდი განხეთქილებაა, ძმა ძმასთან აღარ რჩება (ჩემი რძალი კუდიანია და მეშინიაო), მაგრამ მაინც კმაყოფილი ვართ: რამდენი კუდიანი აღმოჩნდება, იმდენს დავსდაღავთ და შემდგომისთვის აღარც ვენახები დაგვისნეულდებიან და აღარც კაცები. ერთს კაცს გაუგია, რომ მისი მეზობლის ქალი კუდიანი ყოფილა, მისულა და შუბლზე დანით ჯვარის სახე გაუკეთებია; იმ დღეს უკან ძალიან ჭკვიანათ არი თურმე ის დადაღული ქალი.

ეს ამბავი ტყუილი არ გეგონოსთ, მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ ეს პატარა წინასწარმეტყველი დედოფალსავით ცხენზე შესკუპებული ხან ერთს სოფელში, ხან მეორეში დაჰყავთ საიქიმოთ, სარჩევათ. ერთს აზნაურს (ვგონებ წერეთელს) შეჰპირდა, შენს ადგილში ხაზინას გამოვაჩენ, თუმც ნახევარს მიზიარებო; მაგრამ ამაზე ხაზინის პატრონი არ დათანხმებია, უთქვამს თუ, მეოთხედის მეტს არ მოგცემო. ეს მარჩიელს არ უქნია და დღესაც ამ მიზეზით სიმდიდრე ლპება მიწაში. სრული თავისუფლება აქვს ამ ქალს იაროს რაჭის მაზრაში, ჰკურნოს და განამდიდროს ჩვენი დაუძლურებული, [illegible] თვალისაგან გალალული და დალარიბებული ხალხი. სხვა უეზდებში, უკაცრავათ, ვერ გოამუშვებთ. ვისაც ჩემი ამბები არ გჯეროსთ, გთხოვთ დამამტკიცებინოთ. ამ წვრილ ამბებზე ახლა ნურას უკაცრავათ და უფრო სხვილები შემდგომისთვის იყოს.

ჩხრეკია რაჭველი.

6 აგვისტოს 1874 წელსა


# საყმაწვილო ბაღი

და მასთან

## პირველდაწყებითი შკოლა,

რომელიც მე მივიღე სიმონოვიჩისაგან, იქნება ამას იქით სოლოლაკზედ, კონსულის ქუჩაზედ, იმ სახლების ზემო ეტაჟაში, რომელიც ეხლა მირზოევის არის და წინათ კრიჟანოვსკისას ეკუთვნოდა.

სასწავლებელი პროგრამმა და შკოლაში ყმაწვილების მიღების პირობები ისევ ის არის, რაც წინათ იყო.

1) საყმაწვილო ბაღსა და შკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ყმაწვილები თერთმეტი წლოვანობის შესრულებამდის.

2) საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ყმაწვილები შვიდ წლოვანობამდის; სწავლება არის 10-დგან 2 საათამდის.

3) საყმაწვილო ბაღში მოსწავლეთათვის იხდიან თვეობით 4 მანეთს; ამას გარდა მიღების დროს უნდა შეიტანონ მასალებისათვის 1 მანეთი.

4) ფული უნდა გარდიხადონ ყოველის თვის პირველს რიცხვს წინდაწინ; ყმაწვილები, რომელნიც სამის კვირის განმავალობაში ბაღში არ ყოფილან, გამოსულად შეირიცხებიან და მეორეჯერ ბაღში მიღების დროს მასალებისათვის ხელახლად 1 მანეთს იხდიან.

5) შკოლა ამზადებს ყმაწვილებს ყველა სახაზინო სასწავლებლებში შესასვლელად: სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიაში. საქალებო ინსტიტუტში, წმ. ნინოს სასწავლებელში და მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის კნეინის ოლგა თეოდორეს ასულის საქალებო გიმნაზიაში.

6) შკოლა გაყოფილია ორ კლასად, რომელთაგან პირველი ორი, განყოფილებისაგან შესდგება. პირველს განყოფილებაში მიიღებიან შვიდის წლის ყმაწვილები უეკზამენოდ; მეორე განყოფილებაში შესასვლელად საჭიროა „Родное Слово“-ს პირველის ნაწილის ცოდნა და 20-დის ანგარიში ზეპირ მეთოდით.

7) შკოლაში სასწავლებელი საგნები არიან შემდეგნი: სამღთო კანონები მართლმადიდებლისა და სომეხთ სარწმუნოებისა; ენები: რუსული, სომხური (სომხეთათვის), ფრანცუზული და გერმანიული (ნემეცური), არითმეტიკა, ჩვენებითი სწავლება, გეოგრაფია, წერა, ხატვა და ხელსაქმე.

8) სწავლა არის შკოლაში 1 სეკტემბრიდგან 1 ივნისამდის, ყოველ დღე კვირასა და დღესასწაულებს გარდა, 9-დგან 2 საათამდის.

9) თითოეულ ყმაწვილზედ ყოველ-წლივ დაწესებულია 60 მანეთი გარდასახადი. ამ ფულის შესატანად დანიშნულია ორი ვადა: ნახევარი, ესე იგი 30 მანეთი, უნდა შეიტანონ ყმაწვილის შკოლაში მიღების დროს და მეორე ნახევარი (30 მან.) 15 იანვარს. დედ-მამა, რომელთაც შკოლაში 2 ყმაწვილზედ მეტი მიუციათ, იხდიან პირველისათვის 60 მანეთს, მეორესთვის-50 მანეთს და -მესამისა და შემდეგებისათვის თითოეულზედ 40 მან.

10) პირველ კლასში შესვლის დროს 3 5 მანეთი უნდა გარდაიხადონ, და მეორეში-მანეთი სასწავლებელი ნივთების სასყიდლად.

ყმაწვილები მიიღებიან შკოლაში 20 აგვისტოდგან, 1 სეკტემბრამდის, 10-დგან 2 საათამდის, ეხლანდელს ჩემს სადგომზედ თავადის ნიკოლოზ თუმანოვის სახლებში, გუბერნიის სამმართველოს პირდაპირ და 1 სეკტემბრიდგან 15-დის ზემო ხსენებულს სადგომზედ, მირზოევის სახლებში.

საყმაწვილო ბაღში ყმაწვილების მიღება შეიძლება 20 აგვისტოდგან ყოველთვის მთელის სასწავლებლო წლის განმავალობაში.

ე. ჟაბა.

## ისყიდება:

ცელები, ნამგლები, მატყლის გასაკრეჭი მაკრატლები, გუთნები, სიმინდის საფშვნეტი მაშინები და ტილოები. რკინის გზის სტანციასთან ფ. პრეტიმანის საქანჩელს ქარხანაში


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Августа 1874 г. Типографія Меликова и Кº. გამომცემნი: ს. მელიქოვი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი ქ. ლორთქიფანიძე